კვირა 28 თებერვალი 1916 წ.

ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 9

არშიყნი

დონ-სანდრო-საქართლეთელი.

ჩემო იავ! ჩემო ვარდო!
თვალ სოსანო ველად რგულო,
არა გშვენის ბებერ სატრფოს
ემიჯნურო, ეერდგულო.
წამო ჩემთან სულის სატრფოვ,
ნუ, ნუ მტანჯავ, წამო, წამო
დაშნის დილა გაგითენო,
ხანჯლის დღე და ხმლის საღამო.

ჟერონტინა სახალხეთელი.

მწუ, მწუ, მწუ, მწუ*) ნუ მწვავ გიჟო,
ჩემო შლეგო, ჩემო ხელო!
ეს ხორცსა ფლობს, სხეულს ჩემსას
შენ კი, შენ სულს სანატრელო,
მაგრამ.. ვიცი, შენ ქონება
არ გაქვს, ტურფავ, იმოდენა,
რომ შეგეძლოს ამასავით
ჩემი მოვლა, ჩემი რჩენა.

---

*) აქ იგულისხმება თითების წვეროთა კოცნა, რომელიც ჰაერის საშვალებით გადაეცემა ობიექტს.

უცხო სიტყვათა განმარტება

იტალიური გაფიცვა. რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც მუშებს ალებთან ბრძოლის დროს ხშირად მიუმართავთ იტალიური გაფიცვისათვის. იტალიური გაფიცვა იმით განირჩევა ჩვეულებრივისაგან, რომ მუშა სამუშიერს თავს არ ანებებს. ის თავის ალაგასვე რჩება, მაგრამ მუშაობს ნელა, ზანტათ. ხშირად იმდენათ ნელა, რომ აკეთებს იმის მეასედს, რის გაკეთებაც შეუძლია. აი მაგალითი: წარმოვიდგინოთ ჩვენს ტრამვაიზე გამოცხადდა იტალიური გაფიცვა. თქვენ დილის მატარებლით ჩამობრძანდით ქ. გორიდან, სადაც დაპატიჟებული იყავით, მაგრამ მასპინძელი არ დაგიხვდათ. ჩამოდით დაღალულ-დაქანცული, გაციებული და იჩქარით შინისაკენ ვარდისუბნის ქუჩაზე მე-4 ნომერში.

სადგურთან ტრამვაის ვაგონი დაგხვდათ და თქვენც რასაკვირველია შიგ ჩაბრძანდით. აი, კონდუქტორმა აიღო ხელში საყვირი. ჯერ რამდენიმეჯერ შეატრიალ-შემოატრიალა. ბოლოს პირთან მიიტანა, მაგრამ ამ დროს დახველება მოუნდა და ისევ მოიშორა. ეს გაიმეორა ხუთჯერ. გავიდა ათი წუთი და გაისმა საყვირის ხმა. უკვე ცხრა საათია დილის. ვატმანმა ხელთათმანები გაისწორა. ათჯერ ტორმუზი მოსინჯა. ვაგონის ჰერში რაღაც მიატრიალ-მოატრიალა. ცხრაჯერ დარეკა და სწორეთ ათის ნახევარზე ვაგონი დაიძრა.

ათ საათზე თქვენ უკვე მიაღწიეთ იმ ადგილს, სადაც „ალორძინიბის“ მაღაზია იმყოფება. აქ ვაგონს მხოლოდ ხუთმეტი წუთი შეაგვიანდა და იმავე ცერემონის შემდეგ გაუდგა გზას. თერთმეტ საათზე თქვენ საბალოსნო სკოლის ეზოს გვერდით მიგოგავდით და მშვენიერი სანახაობით სტკბებოდით, ხოლო სრულ 12 საათზე გორგიჯანოვის წინ შეჩერდა თქვენი მგზავრობა.

აპოლოს წინ, სადაც თქვენ ნაშუადღევის ორ საათზე მიბრძანდით ვაგონი დაეჯახა ავტომობილს და ხუთი კაცი გაჭყლიტა. ოქმების წერას მოუნდით საღამოს შვიდ საათამდე, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებს.

ვერის ხიდი როცა გაიარეთ იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაზე თერთმეტჯერ შემოჰკრეს ზარი. ზემელის აფთიაქთან კი ვაგონი სრულ შუაღამეზე მივიდა. ვინაიდან სამუშაო დღე გათავდა აქ ტრამვაი მოაბრუნეს და თქვენ იძულებული გახდით ფეხით განგეგრძოთ გზა.

აი ამას ჰქვია იტალიური გაფიცვა და უნდა გამოგიტყდეთ ძლიერ მოსაწყენი რამეა. მით უმეტეს თუ თითონ არა ხარ გაფიცული.

ომი.

(იხილე სურათი მეორე გვერდზე).

ვსთქვათ „ახალშენმა“ (რომელიც ვერის ბაღების გვერდით სძევს) ომი გამოუცხადა სოფ. წყნეთს. უთანხმოება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ წყნეთის ჩრდილო აღმოსავლეთის კუნჭული, ეგრეთ წოდებული „ნახშირ-გორა“ ახალშენელთა მოდგმის ხალხით არის დასახლებული და ნაციონალურ შევიწროებას განიცდის.

პირველი ტყვია 1813 წლის პირველ იანვარს გავარდა. პირველ შეტევისათანავე, სათავად-აზნაურო გიმნაზიისა და ფიქრის გორას შუა, ახალშენელებმა გადალახეს მდინარე ვერა და შეესივნენ ვარაზის-ხევის ხეობას. (ვარაზის ხევს შეიძლება იზონცო დავარქვათ, მაგრამ მე მაინც ჩვენი მშობლიური სახელი მირჩევნია).

ნახევარი წლის ომის შემდეგ ახალშენლები უკვე მივიდენ იმ ადგილამდე, სადაც წყნეთის ქუჩა გადასჭრის ვარაზის ხევს და აილეს*) ბეტონის ხიდი. აქ მათ აიყვანეს ბლოკების საშვალებით რამოდენიმე ვირი და მაღლა ნაპირზე შესვეს. წყნეთელები კი ჯერ-ჯერობით არსად სჩანდენ.

მერვე თვის მიწურულში მზვერავთა რაზმი შეიჭრა ერთ მიტოვებულ აგურხანაში და აიღო იგი. მფრინავთა რაზმი, სევასტი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, წყნეთიდან მომავალ ქარავანს თავს დაეცა და 60 ყუმბარა დააყარა. მოკლულ იქმნა

*) სიტყვა „აილეს“ პირდაპირი მნიშვნელობით როდი უნდა გაიგოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— როგორ სჭედენ იტალიელი მეომრები ცხენებს.

ამოდენიმე ნახშირით დატვირთული ვირი, თითონ
ი უვნებლათ გადარჩა.

პირველი წლის მიწურულში რაზმი უკვე გრი-
ოლ ყიფშიძის სახლის გალავანს გაუსწორდა და
ქ გამაგრდა.

მეორე წლის პირველ თვეებში ახალშენლებმა
ააფეთქეს ერთი საქე-
ნი შეშა იქვე დუქნის გვერდით დაწყობილი და
ორმოში გამაგრდენ.

მორიელი

პ რ ე ს ს ა

(დასელ მუშათა საყურადღებოთ)

ამხანაგებო!

სიტყვა „პრესსას“, როგორც არა ქართულს, რა ხანია ხმარობს ჩვენი მკითხველი საზოგადოება. ვინ მოსთვლის ვის როგორ ესმოდა აღნიშნული უცხო სიტყვა და ვინ რა შინაარსს სდებდა მასში. მე ჩემდა თავად კარგა ხანია „პრესსა“ იგივე „პრესსი“ მგონია, ვინაიდან ხშირად მინახავს და მსმენია, თუ რამდენი ხალხი იჭყლიტება პრესსაში.

ჩვენდა საბედნიეროთ ბ-ნმა ა.ბ. წ—ძემ გაზეთ „საქართველოში“ ჩინებულათ გაარკვია ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „პრესსა“ საჭიროა ყოფილა ხალხისათვის, თუნდა იგი ისეთიც იყოს, როგორიც მაგ. „საქართველოა“. ზემო აღნიშნული ავტორი უფრო შორსაც მიდის. მისი აზრით—„პრესსაში“ გამოთქმულ აზრს ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოსო*). თუ ამ, განსაცვიფრებელი სისწორით გამოთქმულ, აზრს სახელმძღვანელო მცნებათ დავისახავთ, მაშინ ჩვენს წინაშე წარმოსდგება უდიდესი, უსაჭიროესი, უძვირფასესი, უჩქარესი, უღრმესი, და უაღრესი საზრუნავი.

ამხანაგებო! ვიცი თქვენ თითონაც შენიშნავდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაზ. „ზვირთი“ გამოდის, პირდაპირ „პრესსიდან“ შეიტყობდით, რომ ჩვენ, დასელ მუშებს არა გვყავს არც ერთი სავარგისი ჟურნალისტი, ანუ პრესის მებრძოლი.

ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტ უნუგეშო მდგომარეობაში ჟურნალისტი **ან**-ია. რაღა ჩემი და ან ბ-ნი თედორე ღლონტის ლაპარაკი გეჩირიათ ამაზე, თქვენ თითონ კითხულობთ მის „ნაჩხაბნეს“ აგერ მეოცე წელიწადია, თუ მეტი არა. არც სტილი, არც ენა, არც კილო მას არა აქვს ისეთი, როგორიც თუნდ უბრალო ფედერალისტს, (დიდებზე, როგორიც თ. ღლონტია აღარაფერს აღარ ვიტყვი). თუმცა ენა, სტილი და კილო არ ეყარგა ჟურნალისტ **ან**-ს, სამგიეროთ შინაარსიც აღარ არის მის ნაწერებში. ბ-ნი თ. ღლონტი, ეს ბრწყინვალე ვარსკვლავი ქართ. ფედერალისტთა „ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტისა“ პირდაპირ სასაცილოთ ვვიგდებს. იგი სწერს: „სარაკო და განსაცვიფრებელია **ან**-ის უტოდინარობა სასუფეველის უფლების ელემენტარულ საკუთრებასა და, რა თქმა უნდა ასეთ ბირობებში ჯერ ლექციის ბარბაროსობა, ვიდრე რიხიანთ წერა“-ო.

ამხანაგებო! გაიხსენეთ ა.ბ. წ-ძის საისტორიო სიტყვები, რომ „პრესას ანგარიშის გაწევა უნდა“ და დაუფიქრდით ფედერალისტთა ბელადის თ. ღლონტის სიტყვებს. სირცხვილი ჩვენ და საყვედური! ნუთუ დასელ მუშებს არ შეგვიძლია ჩვენი მწერლისთვის ერთი მასწავლებლის შოვნა? უყურადღებობა და გულგრილობა გვეპატიებოდა, თუ რომ მასწავლებლის შოვნა ყოფილიყო საძნელო. მაგრამ ამ მხრივ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს*). მასწავლებელთა რიცხვი ლეგიონია. მე აქ ჩამოვთვლი მარტო ისეთებს, რომელთაც ყველა მეცნიერები ათასჯერ გადაუღეტ-გადაუცოხნიათ და სახელმწიფო უფლებათა ცოდნით ქვეყანას აკვირვებენ. ან ისინი ღირსებისა და არა ალფავიტის მიხედვით:

გრიგოლ ამაღლობელი.
თეოდორე ღლონტი.
გრ. ლაღიძე.
არჩ. ჯა—შვილი.
ს. დადიანი.
ბ ნი შინაური.
ბ-ნი მეგობარი.
ბ-ნი სიტყვა.
გ. მაიაშვილი.

ხოლო დასასრულ შეიძლები შეეაწუხოთ თვით ბ-ნი გერონტი ქიქოძე, რომელიც (იმედი მაქვს) ძველი ნაცნობობით მაინც დაგვდებს ხათრს.

ჩემო ძვირფასნო! აქ მხოლოდ ერთად-ერთი დაბრკოლება შეიძლება გადაგვეღობოს წინ, ეს ფინანსიური ვითარება. აი რას უნდა გაეწიოს ამ შემთხვევაში ანგარიში. საყვარელი **ან**-ის გათვითცნობიერება და კეთილ გზაზე დაყენება ყველა ზოგანს სწყურია. მე დარწმუნებული ვარ, ზოგიერთს იმედიც აქვს მისგან გვარიანი ჟურნალისტი გამოიყვანოს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მეცნიერ-ჟურნალისტები კარგ ცხოვრებას არიან ჩვეულნი და მარტო ქვეყმოქმედებითი მიზნით არ იკისრებენ ამ მძიმე შრომას. ალბათ გაიგეთ რაში საქმე.

*) რასაკვირველია სიტყვა „ანგარიში“ ფულის მხრივ არ უნდა იქნას გაგებული.

*) თუ მაინც იყეფებიან, რა ვუყოთ, ქარი წაიღებს.

ეშმაკი.

ამ ხელმძღვანელთა შორის მე განსაკუთრებულს თქვენს ყურადღებას მივაჯაქვავ, თეოდორე ღლონტის პიროვნებას. იგი ჭეშმარიტათ რომ ღირსეულია ღირსეულთა შორის და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ მისი ნაწერი ალბათ არ წაგიკითხავთ, მაინც იცნობთ მის გონებრივ სიდიადეს და ზეეურნალისტობას, რომ ამ თქვენ ეგრე ვთქვათ სულიერ ნაცნობობას ხორცი შევასხა, ვათავსებ აქვე მის სურათს სულ ბოლო დღეებში გადაღებულს მხატვარი „კრიპუტის“ მიერ.

ტოტიკი.

თეოდორე ღლონტი.

კანონ-პროექტი

(ქაჯეთის სამხედრო სამინისტროს)

ფოთში.

იდიდოს ძალა ჯოჯოხეთისა
თვით უკუპრესი
რადგანაც ქაჯებს შამოუღიათ
სამხედრო წესი.
აწ მოვახსენებ ყოველთა მფარველ
თქვენ სიბნელესა,
რომ ჩვენ განვიცდით ეროვნულ ჩაგვრის
დიდ სიძნელესა.
ამავე მიზნით პროექტს ვაიღებ
სამინისტროსა
არ ვსცნობ საჭიროთ ნეიტრალიტეტს
ამ ომის დროსა.
ჩვენ გვინდა ომი, იგი რაც უნდა
მსხვერპლს მოითხოვდეს,
მხოლოთ ქაჯეთის ტერიტორია
კი გაფართოვდეს.
გამოვარჩიოთ რომელიც ჯობდეს
ჯოჯოხეთადა,
ჩვენი მხედრობით თავზე დავესხათ
იმას ერთადა.
შევმუსროთ მტერი სასტიკი ბრძოლით
ცეცხლის გვარითა
დაჭრილ დახოცილთ რომ ვაცურებდეთ
სისხლის ღვარითა.
მხარე რომელიც ჯოჯოხეთს უღირს
დასაპყრობათა
თან შიგ მცხოვრები ქაჯებისათვის
მოსამხრობათა.
გაუვალი და მოუხმარელი
ადამთა ტომის
მთელი მიდამო უკვე ცნობილი
პალიასტომის.
პოლიტიკურად სიბნელე იცავს
ირგვლივ წყდიადი,
მდებარეობით საჯოჯოხეთო
აქვს ხვაშიადი.
ქუჩის სიბნელე შიგ აღარ უშვებს
მზეს და მთვარესა,

ელექტრონ-ჭრაქზე მუდამ მტირალსა
მგლოვიარესა.
თავს დასტრიალებს ,,გრიგოლ მნათობი''
ჩირაღდანითა.
მარა სიბნელეს იგი ველარ სძლევს
ერთი წამითა.
(შამოდგომაზე „ეწერს“*) დასწვავენ
მან იცის ალი
სინათლეს მაშინ თუ ნახავს მხოლოთ
მცხოვრებთა თვალი)
ზღვა თუ მდინარე ამა ქალაქზე
მოდებულია,
ნავთ საყუდელათ თუმცა ძველთაგან
წოდებულია,
მაინც არა ჰგავს თანამედროვეს
აგი ქალაქსა
და ვერც დაიპერს ამ პირობებში
ამგვარ ალაგსა.
შამოსავლის არა ვიცით რა
ვალი აქვს დიდი,
ქუჩებში ლაფი და მდინარეზე
დაშლილი ხიდი.
არცა თეატრი, არცა სახალხო
უნივერსტეტი
აქ ვერ ხეირობს ყავა ხანის და
სირაჯის მეტი.
ქალაქსა ამას მას ეამსა შინა
თუმც ება თავი
ვისაც უკრიდა ჭკუა გონება,
კალამი, მკლავი.
მაინც ვერ შესძლო ამის ქალაქათ
გადაკეთება
თუმც ბევრი ნახა შრომა და ჯაფა
შიში, ფეთება.
კაცი იბრძოდეს და იმ ბრძოლაში
რომ წაიბორკოს,
ჯილდოს მაგივრათ დამნაშავისას
უდგამდენ ჯორკოს**)
რა თავში იხლის ასეთ ადგილზე
მოღვაწეობას,
რაღა ფასი აქვს მის სიმამაცეს,
სიბრძნეს, მხნეობას?
ამიტომ ქალაქს მოსცილდა თავი
ეს ერთად ერთი,
განრისხდა მასზე ყველა ჯორკოსანზე
საბაო ღმეთი.
ღვრია წყალს აქა არჩია სხვაგან
ღვინო კახური
და გახდა კიდეც ახალ რკინის გზის
თავი მსახური.
ქალაქი ესე დარჩა უთაოდ
და უფეხოთა,
მისი ხმოსნებით ჩვენ რა უნდა
დავიკვეხოთა.
ხმიანი მათში ხელის თითებზე
რომ ჩამოვთვალოთ
(პირჯვრის საწერი სამი თითებიც
შიგ არ ჩავთვალოთ,
უხმო ხმოსნებზე გადასაწერათ
ჯვარის სახისა
ყოველ კითხვაზე ,,ამინ უფალოს''
რომ იძახისა).
სწორი გამოვა თვითმართველობის
ბუხგალტერია,
აგი ჩემს გარდა სხვებსაც უთქვამს
და უწერია.
თუნდაც მეველე*) ამა ქალაქის
ნაჩალევისა**)
უხმოთ მიმღები დამშეულ ხალხის
კრულვა-წყევისა,
არცა ესმის რა სხვის გასაპირზე
არც დასძრავს ენას,
ქართულათ ირცხვის და ერიდება
,,ეროვნულ'' წყენას,
რადგან სიმშილიც ამავე მიზნით
,,შორს'' განიკვრიტა
(თუმც მშიერ გლეხზე თავადი ბჭობდა
მაძღარი კიტა).
სასამართლოში ჩვენება ვერ სთქვა
ნაკურთხმა თავმა,
მაყურებლებში იქვიც დაბადა
ამ სანახავმა.
მისმარკობს კიდეც დიქტატორობაც
რომ ერჩის კმარა,
(თუმც აფთიაში რაც მოისურვა
ვერ მოიგვარა)
კრიტიკა სურდა პროვიზორის თუ
მედიცინისა,

*) ეწერი—ცხლით დაბანილი ...
**) ჯორკი—სკამის წესიერად ... ...

*) მეველე—ყანის მცველი.
**) ,,ნაჩალევი—გარღვეული ყანა.

ავი და კარგი არ იცის კია
ქინაქინისა.
მოქალაქენი შანტაჟისტების
ბრბოს ემონების,
თუ არ გეთოძათ მათი ნებართვა
ცხოვრებ-ქონების,
შვა გულ ბაზარში მოულოდნელად
გაგაგორებენ
ამ წუთის სოფელს ,,პროგრამის'' ძალით
მოგაშორებენ.
ქაჯთა სარდლებო! ეგ სიბუთები
იკმაროთ უნდა
ჩემი პროექტი სტრატეგიულათ
თუ არ გამტყუნდა,
არც ის იფიქროთ ეს აზრი მარტო
მე დამებადა,
მე ხომ ვით ცოდვილს თვით ტარტაროზი
გამომეცხადა
და მითხრა მტკიცეთ: ,,სამინისტროში
შენს აზრს ვიცავო,
გავიყვან კიდეც ჯოჯოხეთ-ცეცხლის
ძალას ვფიცავო''.
თუ აგრე მოხდეს, წამოიყვანეთ
ჩვენი ჯარები,
შემოანგრიეთ ჯიხურის*) ციხის
ძველი კარები.
შხანკოლაც მოდის ფიჩორის ფლოტით,
ნალმოსნებითა,
მტერი ეგების კიდეც დაგვნებდეს
თავის ნებითა,
თუ დაგვჭირდება მე მზათ ვიქნები
ჰაერის ფლოტით,
ბუტუნას ტიპი ცეპელინისას
სჯობია ლოტით.

ბუტუნა

*) ჯიხური გურიელ-დადიანის სამმარი ციხე-სიმაგრე.

დეპეშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთი. სერგეი ჭყონიას ხე-ტყის ქარხანას შანტაჟისტებმა ცეცხლი წაუკიდეს, მარა ქარხნის გამგემ ადრე გაიგო და ცეცხლიც ჩააქრეს. მიზეზათ იმ „10 ათასი მანეთის გადაუხდელობას ასახელებენ, რომელსაც შანტაჟისტები ჭყონიას ევალებიან, ხოლო უკანასკნელი კი ჯიუტობს გადახთას.

— **მეკარხნეებმა:** ამნაძემ **მოასრულეს** ოვადმიუხედავათ დიდი შრომისა და ხარჯებისა, ჯერაც ვერ მიაკვლიეს თავიანთ ,,მოვალეებს'', რომლებიც მხოლოთ ნ ათასით სჯერდებიან. ბოროტი ენები ამმობენ ,,შვაკაცები'' მეტს სარგებლობენ ვინემ თვით შანტაჟისტებია.

— **ვაჭრმა ხმოსნებმა:** ცეკვაშვილმა, რუხაძემ, გოგონავამ და სხვა. თავისი დანოსებით მთავრობასთან შესძლეს იმ დადგენილების დარღვევა, რომლითაც ქალაქმა იჯარით გადასცა ადგილობრივ **კოოპერატივს** ფურნე და მაღაზია. კითხვა ხელ ახლა გაირჩევა მარა ამ მედანოსე ვაჭ-ბატონებს კოოპ. საზ. წევრები ,,ჯილდოს'' უმზადებენ.

— **ბ-ნი ტყემალაძე** ვერ დადგა კაი გუნებაზე იაგულოვისა და აფთიაქის პროცესით. ,,უტუს ჯარი'' ცნობილი სარდლების (ბათლომე და თეოდორეს) მეთაურობით ბ-ნ ნიკოლაძეს დაეცენ ჩამოსვლისთანავე. ამბობენ ულტიმატუმი წარუდგენეს ნიკოლაძესო. მიზეზი ტყემალაძის მოდვაწეობა უნდა იყოს.

— ექიმ ტერ-ნიკოგოსოვის ბინაზე რუმინიულ ნიადაგზე შეხლა მოხდა ბ-ნ ტერ-ნიკოგოსოვსა და გერზეკეკსკის შორის; ბრძოლის დროს მოზავობაში ,,გორნიჩნა'' მოჰყოლია და საგრძნობლათ დაზიანებულა.

გამოსარკვევია მხოლოდ ის, თუ ვის უნდა დაედოს ბრალი ,,გორნიჩნის'' დაზიანებაში. საჭიროა ოპერაცია.

ბუტუნას საგენტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სარევიზიო კომისია.

(ჩვენ ეძღვნა ეგვედა სარევიზიო კომისიებს და მათ ამრწეულებს)

ჩვენ: მე და ნიკომ,
სიკომ და ბიკომ,
საქმე დავიწყეთ საკომერციო.

გამგეთ დადგომა
მე თითონ მსურდა,
მაგრამ ნიკომ სთქვა: „აქ მომეციო“.

და რადგან იგი
ყველაზე მორცხვი
და სანდო იყო ჩვენ ოთხთა შორის,

იდგა გარეშე
პარტიებისა
პატიოსნება წმინდანთა სწორის,

ჩვენც გადავეცით
ჩვენი ქონება
თითო თუმანი (ქაღალდის ფული)



და გავაჩაღეთ
შაქრით ვაპრობა,
ამ დარგით ვიყავ გატაცებული.

განა ვის ძალუძს
უშაქროდ ყოფნა
ვისაც კი უვის პირისა გემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფასი მისი
ამისდაგვარად
თქვენც მოგხსენდებათ, „ბატონო“ ჩემო!



და რომ ჩვენს გამგეს
არ ეეშმაკნა,
და არ გაეცა ხალხზე ნისია,
მას მიუყენეთ
ყურის მგდებელათ
სარევიზიო, მხნე კომისია.

დიდათ სასტიკი,
საქმისა მცოდნე,
ენერგიული, შორს გამჭვრეტელი...
გამგესთან ერთად
მის სიფხიზლეზე
ჩვენ დავამყარეთ იმედი მთელი.



ვაპრობამ უკვე
ფრთები გაშალა!
ჩარჩებს დაუდგათ ცხოვრება ცუდი.

ჩვენი სავაპრო
დუქნის წინაშე
მარად-ჟამს იდგა ასეთი კუდი.



ერთ დილას, გამგემ
სულ პაწაწინა
შაქრის ნატეხი ჩაიდო პირში
და კომისია,
(რომ ქურდობისთვის
ძმარი ედინა გამგისთვის ცხვირში).
არც განძრეულა,
იდგა ვით შტერი
თუმც დაინახა შაქრის ნაპერი.

მეორე დღითი
გამგე ბატონმა
ჩვენი ქონების სრულმა პატრონმა
(სალამო ხანი
რო მოატანა)
ნაპრები გარეთ გამოიტანა.
სარევიზიო
კომისია-კი
იდგა უძრავათ ვითა ჯირეკი.



ეს გულგრილობა
გამგეს ეოცა,
და სხვა ნაპრები მიმალა როცა,
მობრუნდა უკან
და კომისია
ახლოს გასინჯა რის მაქნისია.
ჯერ ნელა-ნელა
მიჩოჩდა ახლო...
ბოლოს ნიკაპზე ხელიც კი ახლო
და მყის დარწმუნდა
ეს ქურდ-ბაცაცა,
რომ მის წინაშე იდგა ცუდ-კაცა.



მივედით ჩვენ სამნი,
მივედით დუქანსა
ველოდით სარგებელს ბლომად და მსუქანსა,
აღარც შაქარი,
აღარც ქანქარი,
აღარსად ნაღდი, არსად ნისია...
კარებში ნიკო
ჩაცუცქებული
დუქანში ობლად სდგას კომისია.

ეშმაკი.

წერილი გორიდან.

(ფეძლენი გორელ კორესპონდენტებს)

აგერ ეს ათი წელიწადია, რაც მე კორესპონდენტი გახლავარ და ამისთანა დროს ჯერ არ შეესწრებივარ. არ ვიცი ხალხი გამოიცვალა, თუ მე თითონ გადამიბრუნდა ტვინი და თავ-ტანისა ვეღარა გამგია რა. ერთში-კი უნდა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ რასაც მე მოგახსენებთ სრული სიმართლეა. მე დიდი ხნის კორესპონდენტი გახლავარ ერთი, ფრიად გამოჩენილი, ლიტერატურულ-პოლიტიკური ორგანოსი და ამბებს ფოტოგრაფიული სისწორით გადავსცემ. ღმერთმა შეარცხვინა ჩემთან მიშჩენკო და კლარი..!

როდესაც წერის, ანუ უკეთ რომ მოგახსენოთ, „ვარსკლავთა ყეფის“ საღერღელი ამეშლება ხოლმე გადვიკიდებ გუდა ნაბადს და ჩემი აპარატით გავეშურები გორიჯვრის მთისკენ. აქ მაღლობიდან გადმოვცქერი და ვხატავ გორის არე მარეს.

იმ დღეს, როდესაც გორის მიდამოებს ვათვალიერებდი, ერთი საშინელი სურათი აღმიდგა თვალ წინ. თქვენ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ გორის ციხე. აუარებელი მტრის ლაშქარი, ასე ხუთ მილიონამდის მაინც, მოსდგომოდა მას და 42 სანტრიმეტრიან ზარბაზნებს გრიალი გაუდიოდათ. გორის ციხე-კი იდგა შეურყეველი... ის, ის იყო, მტერი უნდა უკან გაბრუნებულიყო შერცხვენილი, მაგრამ მოღალატეებს არ ეძინათ. ჩვენებურმა „დასელებმა“ მტერს ჩუმად ციხის გასაღები გადასცეს და ქალაქს მაღე შემოესია მტრის ლაშქარი. წინ მათ „დაშნაკცაკანები“ მოუძღოდნენ და რაღაცას მღეროდნენ „წიწერნაკის“ ხმაზე. ეს ჯარი ამ ჟამად დაბანაკებულია გორის ციხეში და დღე-დღეზე გამოსვლას აპირებს მთელი ქართლის ასაოხრერებლად. გორელებს-კი სული კბილით უპირავთ...

გუშინ წინ ქ. გორში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წლიური კრება იყო. კრებამ ჩინებულათ ჩაიარა, მაგრამ ბოლოს აქაც „დასელებმა“ გამოყვეს თავი. ერთი ვაჟბატონი კრებაზე შემოვიდა და გახელებული ყვიროდა: გინდა თუ არა ეს საათში წერა-კითხვის ქართული საზოგადოება უნდა გავაკოსმოპოლიტოთო. ხელში მას ყუმბარები ეპირა და ვეფეტქებას უპირებდა მთელ შენობას. ამ ვაჟბატონს წყალობით კრება დაიშალა და ხალხი ნევსკი პროსპექტისაკენ გაემართა.

იმავე დღეს, საღამოს 8 ს. გორის „მარინსკი თეატრში“ წარმოდგენილი იქმნა „ეროვნული ერისთავის კომედია ჰამლეტი. მონაწილეობას იღებდა გორის დრამატიული დასი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აპოთეოზი. ერთმა მაგდილოსანმა წაიკითხა მშვენიერი ლექსი „მოდი ვნახოთ ვენახი“... მსმენელებზე ლექსმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. პაწია გოგონებმა ვეღარ შეიკავეს თავი და კრიალოსნებად ასხმული ცრემლები გადმოღვარეს. დასელები დემონსტრატიულად არ დაესწრენ წარმოდგენას...

მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ გორში სახალხო უნივერსიტეტი არსებობს. ეს უმაღლესი სასწავლებელი ათი წელიწადია რაც არსებობს და დღემდის არც ერთი ფაკულტეტი არ გაუხსნია. თუმცა მისმა მესვეურებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ხალხის განათლება მათ უცხო ენაზე უნდოდათ. მაგალითად ამ სამი წლის განმავლობაში 5 ლექცია წაიკითხეს თათრულად, 10 სპარსულად 8 ლეკურად, 20 ყიზილბაშურად და ქართულად კი არც ერთი... ასეთია ჩვენი კოსმოპოლიტების საქმიანობა...

დღეს დილით სასწორზე გახლდით. ვერ წარმოიდგენთ გორში ამ ბოლო დროს ცხოვრება როგორ გაიაფდა. ურემი შეშა ღირს ათი შაური. გირვანქა ხორცი—3 კაპეიკი. (სუკებს მუქთად იძლევიან). კვერცხი—20 ერთი შაური. ქათამი თითო სამი შაური. ინდოური ხუთი შაური. ოოკი სამი აბაზი. კორესპონდენტი წყვილი სამი შაური. თუ ჩემისთანა—ექვსი შაური. აქაურმა ქართველმა ვაჭრებმა პირი შეჰკრეს, სომხებს ნუღარაფერს მივყიდითო. მაგრამ ჩვენებურმა დასელებმა აქაც სამშობლოს ღალატი დაიწყეს. ეგენი-კი ხალხი არ არიანო! გაიძახიან სულელებივით. თქმა არ უნდა, რომ მათი ალვირ-ახსნილი საქციელი და ლაზღანდარობა ჩვენი ერის დაღუპვას მოასწავებს.

დასასრულ ნება მიბოძეთ ჩვენი ქალაქის თვითმართველობის საქმეებზედაც ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. როგორც ვიცით, ქალაქის თავის და ხმოსნების შორის შავმა კატამ გაირბინა. ერთად ერთი ბრალდება, რომელიც მას წამოუყენეს, იყო ის, რომ „პენსნებს“ რად ატარებო. მაგრამ თუ ობიექტიურად შეეხედავთ მის მოღვაწეობას, ჩვენ უეჭველია დავანახავენ, რომ ჩვენმა საყვარელმა ქალაქის თავმა ბევრი რამე გააკეთა გორისთვის. აი მოკლედ მისი მოღვაწეობის შედეგები ამ სამეიოდ

წელიწადში: 1—გორის ციცაბო ციხეზე მან, ე. ი. ქალაქის თავმა, ფუნიკულიერი გაიყვანა, 2—ატენი, ხიდისთავი, მეჯვრისხევი და ცხინვალი ქალაქ გორს შემოუერთა. 3—გორიჯვრის მთის და გორის ციხეს შუა ჰაერში დაკიდული ხიდი გასდო, რომელზედაც მატარებელი დადის. 4—გორის ქუჩებზე ყველგან სარკეები დააგო, ისე რომ კალოშების ყიდვა აღარავის უნდა. 5—ხიდის ყურზე მან აღმართა დიდებული ძეგლი, რომელსაც თავი არა აქვს გამობმული. საბრალო დასელებს უკვირდათ მისი უთაოობა, მაგრამ რა ესმით ამ უბედურებს ხელოვნებისა. მექანდაკე დეკანდენტი იყო და მან სიმბოლიური ძეგლი ჩამოასხა. მკოდნე პირები ამტკიცებენ, რომ ამ უთაო ძეგლში ღრმა იდეაა ჩამარხული... 6—მტკვარზე ქალაქის თავმა სამი შესანიშნავი ხიდი გასდო, თითო ხიდი დაჯდა 5 მილიარდი დოლარი. ხიდეები ისეთი გეგმით არიან აშენებულნი, რომ თავისთავად იკეცებიან და იშლებიან. 7—მართლა, დამავიწყდა, ერთი უკვდავი ძეგლი კიდევ ააგო თვითმართველობის შენობის წინ, რომელსაც ზედ აწერია № 3007. მეცნიერები თავს იმტვრევენ და ვერ გაიგეს, რას ნიშნავს ეს ნომერი... 7—ქალაქ გორის ბიუჯეტი მან 20 მილიარდ მანეთამდის აიყვანა. ქალაქს ვალები სრულიად მოაშორა და დაგირავებული მიწები სრულიად გამოიხსნა. 8—გორის მაბულებმა მის ხელში ერთი ასჯერ იმატეს. 9—განათებას ხომ ნუღარ იტყვით. ჩვენ აქ მისი წყალობით ახალი „მოდელ“ ელექტრონის განთება გვაქვს. ღამეში ოცჯერ აინთება და ჩაქრება თავისთავად. ამბობენ აქაური ელექტრონი სულიერი არსებაა და და ვიდასაც ეარშიყებაო. 10—თვითმართველობაში ეხლა საუცხოვო წესი სუფევს. მიწერ-მოწერა სულ საიდუმლოდ წარმოებს. თვითეულ კონვერტს ზედ ასე აწერია: „ძალზედ საიდუმლოდ“.. 11—გორში დღეს ფეხით აღარავინ დადის. აქაურ ბირჟაზე 1000 ავტომობილი მუშაობს. ტრამვაი ხომ ჩინებული გვაქვს 5 კაპ. ცხინვალში დღეში ორჯელ აირბენ და ჩამოირბენ. 12—კანალიზაცია და წყალსადენი ხომ ანტიკაა... იმ დღეს ამერიკიდან ვიღაც „ინჟინერები“ ჩამოვიდენ გორში... უნდოდათ ჩუმად გეგმა გადაეღოთ, მაგრამ ვერ მიართვეს. გეგმა არავინ მისცა და ხახა მშრალები გაისტუმრეს სახლში.

ასეთია ჩვენი ქალაქის თავის მოღვაწეობის [illegible] მაგრამ აქაც დასელების ინტერიგამ გა[illegible] „[illegible]“ და ქალაქის თავი ვიძულეს რომ წასულიყო. გამოთხოვების დროს ქალაქი დიდი ამაგი კიდევ დასდო თავის სამშობლოს. ეს: „გორის ქუჩებს სულ ახალი სახელები მისცა: ეხლა ჩვენა გვაქვს ასეთი ქუჩები: ილ. ჭავჭავაძისა, აკაკისა, ნიკო ლომოურისა, ვაჟა ფშაველასი, შიო მღვიმელისა, აბაშელისა, გრიშაშვილისა, ახოსპირელისა და სხვ... უეჭველია ჩვენი დასელები ახალ ქალაქის თავს მოიწვევენ და წაშლიან ამ ძვირფას სახელებს. ნუ თუ ასეთი ლაზღანდარობა მათ უნდა შევარჩინოთ?*).

წკიპურტი.

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲡ

შარადის გამოსათქმელად
კალამს მოვკიდე ხელი;
რა უშავს გამომზეურდეს
ზოგი საქმენი ბნელია...

—

მონახეთ სიტყვა, რომელიც
ბევრჯერ შეგხვდებათ დღეშია,
ყველა ქვეყანას ბლომათ ჰყავს,
მეტად დიდ ქალაქებშია.
სხვას კვებავს, თვითონ კი შია,
ყველა მას უპერს ყელშია,
მაგრამ მტარვალებს ჩაადგებს
ერთ დროს ის განსაცდელშია.
შურსა უძიებს სასტივად,
თვით შევა სამოთხეშია.
ამა სიტყვისა, უთუოდ,
გვინდა პირველი მარცვალი,
მე კი სხვას გამოუდგები,
თუ არ მომაკლდა საგზალი.

—

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია უღრმეს მადლობა უძღვნის თანამშრომელ „წკიპურტს“, რომლის მეოხებით ჩვენი მკითხველები შეიგნებენ, თუ რას ნიშნავს „ფოტოგრაფიული სისწორით ვარსკვლავთა ყეფა“, ანუ მდაბიოთ რომ ვსთქვათ, რას ნიშნავს ნამდვილი კორესპონდენტობა. ეს გულებით ცხადი იქნება გორელი მკითხველისა და „სახალხო ფურცლის“ რედაქციისათვის. ამ უანასკნელმა როგორც ვცით, დიდი ყურადღება მიაქცია აღნიშნულ ავტორს, რას შედეგად მოჰყვა „სახალხო ფურცლის“ 496 ნომერში გაბეჭდილ [illegible] „[illegible]“ [illegible]

დროა შევაღოთ ნელ-ნელა
სასწაულებლისა კარები—
და საშვალება ვეძიოთ
ღარიბთა დასახმარები.
ყველა უსახსრო მოწაფეთ
მისკენ უპირავს თვალები,
მაგრამ ფონზედა ის გადის,
ვის წყალობს შავი ძალები.
სიტყვისა თავში მდგომარე
ვიუფლოთ სამნი ასონი,
და შარადისთვის ვიხმაროთ
თუ კი მოადგეს „ფასონი“.
ეხლი დახვევა გვინდება
წელიწადითა ათითა,
როცა მინისტრი, აწ მკვდარი,
(სწორეთ ბისმარკის თავითა)
,,ბედნიერს'' ყოფდა როსეთსა
,,დიადი შეღავათითა'',
სიტყვითა შემოღებული
უმალ წაიღეს საქმითა.
იმ მანიფესტით აღთქმული
,,ბედნიერების'' სახელი,
აქ გამოგვადგეს ეგება
და ჰყოს შარადა ნათელი
მაგრამ მთლად აღარ გვარგია,
სამი მარცვალი გვინდება,
ისიც სიტყვისა ბოლოდან
სცადე, ნუ შეგეშინდება.

—

შარადა უკვე მზათაა,
და ამხსნელისთვის ცხადია,
რომ დამცირება ვისიმე
ამითი არა მწადია...
მაგრამ, ვით ეპიდემია,
ლაზარეთებში მძვინვარებს,
არ ასვენებენ ავადმყოფთ
დაჭრილებსა და მძინარებს.

ერიომა.



დალაქის წერილი ამხანაგთან

(წერილი სიქიოდან)

ვუძღვნი ბ. ვ—ს

ძმაო, არშაკ, რომ იცოდე რა მიქარე და თავი ქვას ვახალე, რომ შენ გაგეყავი და აქეთ წამოველი. რა მრჯიდა ვაროფილიყავით ერთად და ვემრიელი ლუკმა ვვეჭამა, მაგრამ ვაუმაძღრობამ, ხომ იცი, მე კი არა მილოვი და ადელხანოვიც კი შაიცდინა და თავზე ლაფი დაასხა. ვიფიქრე მილიონობით ხალხი დაიხოცა ვაინში, წავალ სიქიოს, ერთ ცირულნიას გავხსნი და ფულის პატრონი გავხდები მეთქი. ჩამოველი თუ არა ერთ ადგილას ბლომათ მიცვალებულები შავაგულე. ისე იყვნენ ჩაწყობილნი, ვეგონებოდა სარდინკაო. ვიფიქრე აქ ხშირი უბანია და კარგი ზარაბოტკა მექნება მეთქი. დავაპირე დუქნის გახსნა, მაგრამ რას გახსნი! ამდენ ხალხში არც ერთს თავზე ბალანი არა ჰქონდა და წვერვულვაშის ნასახი ხომ სულ არ ეტყობოდათ. ვიფიქრე, ნამდვილათ ქაჩლების უბანში მოვსულვარმეთქი და ისევ სხვა უბანში გავაღე დუქანი. უყურე ერთი დღე, მეორე, მაგრამ არავინ ეკარება დუქანს! ისეთ დღეში ვარ რომ გახვრეტილი ვროში მენატრება. მერე შავეკითხე. ხალხნო ეს რა ამბავია! ნეუეელი ამოტოლა უბანში ერთმა დალაქმა ვერ უნდა იხეიროს მეთქი! ჩემ სიტყვაზე გაეცინათ და მითხრეს: „ეე, ჩემო ძმაო, დალაქი რა ეშმაკათ გვინდა. თუ სადმე თმა და წვერი გვქონდა სულ იმ ულმერთო პრისტავებმა დაგვაგლიჯესო“. რაღას ვიზამდი ავიკარი გუდა ნაბადი და გავსწიე სხვა უბნისკენ. გზაზე მამაგონდა: მოდი ერთი არტისტების უბანში დავბინავდები, ვნახოთ იქნება ეყაროს რამე მეთქი და გავსწიე იქითკენ. მართალია იმ ქვეყნათ გაფუფქული ღორივით მოტვლეპილ სახეს ატარებდნენ, მაგრამ აქ ხომ პრისტავლენია არ არის და ნამდვილათ წვერვულვაში ექნებათ და სამუშაოს ვიშოვი მეთქი. მიველი მაგრამ რას ნახავ! აქ უფრო უარეს დღეში ვნახე ეს საცოდავები. შინდ მაინც სამართებლით ჰქონდათ მოპარსული წვერ ულვაში და აქ კი სულ დაგლეჯილი აქვთ საწყლებს. იმ უნამუსო მიკიტნებს დაუგლეჯიათ—ნახარჯი რომ არ მიუციათ.

რაკი ესე ფინთათ წამივიდა საქმე, გადავსწყვიტე ღვდლების უბანში წავალ და იქ კი ნამდვილათ

ხეირი იქნება მეთქი. ამ ქვეყანაში ხომ სლაბოდნები არიან და სტრიკა-ბრიტიას არავინ დაუშლის მეთქი. ეს აზრი მამეწონა და გავსწიე. მიველი მაგრამ რა ვნახე! რაც ქვეყანაზე ღვდლები ყოფილან სულ აქ მოგროვილან. ვიფიქრე ნამდვილათ ქელეხია და გასაძღომათ შაყრილან მეთქი. ჩამეცინა ულვაშებში. ამდენი ღვდელი ყველა რომ მე გავკრიპო ნამდვილათ გავკეთდები მეთქი, მაგრამ აქ უარეს ნესჩასტიას წავაწყდი, ჩემო არშაკ!

ვდგევარ გაჯავრებული და აღარ ვიცი საით გადავარდე. უცეფ გავიხედე და დავინახე, რომ ორი ღვდელი მოდის. ვიფიქრე სანამ მოვლენ ვნახო იქნება თავი გამაკრეკინონ და პურის ფული ვიშოვო მეთქი. ცოტა შაგებს მოუშატე და მივრბივარ. ერთიც ვნახოთ ჩხუბი არ მოუვიდათ იმ ჩემი ცოდვით სავსეებს! თურმე მაგ ქვეყანაში მრევლზე ჰქონიათ ჩხუბი და ერთად რომ შაიყარნენ ძველი ნისიები მაგონდათ და დაუშინეს ერთმანეთს. შეიქნა შტურმის ვაინა. ისე აგლეჯენ ერთმანეთს თმას და წვერს, რომ სულ ნაბუარი ასდის. მივრბივარ და ვყვირი: გოსპოდინ სვიაშჩენიკ, ზაჩემ ვი სტრიგაიშ დრუგ-დრუგა, ია ციერულნიკ ია ლუჩი პასტრიგაიშ ვსე-მეთქი, მაგრამ სანამ მე მივიდოდი, მანამ სულ გაატყავეს ერთმანეთი. მოველი მაგრამ არც ერთს აღარა ჰქონდა არც თმა და აღარც წვერი! დავრჩი პირ ღია და ხახა მშრალი. ეხ, არშაკ, რომ იცოდე რა დღეში ვარ... მაიგონე, ბიეო, ძველი პურ-მარილი და გამამიგზანე გზის ფული, რომ წამოვიდე და აქაურობას მოვცილდე. ისევ ღმერთმა ააშენოს მანდაურობა, ისე როგორ გაფუქდება საქმე, რომ ღდეში თითო კერძი ხაშის ფული მაინც არ ვიშოვო. მიშველე, არშაკ, იწამე ღმერთი, თორემ ვკვდები შიმშილით.

გოგია.

ანკეტა.

მკითხველო, ვერ ატყობ როგორ გამოიცვალა დრო? პურს ვერა ვშოულობთ თავის დროზე, ხორცსა და ვერც სხვა სანოვაგეს. სწორეთ გასჭირდა ცხოვრება და ვინ იცის რა მოგველის! სამწუხარო ისაა, რომ არავინ თავს არ იცხელებს ამ „ვინ იცის“ თავიდან აცდენისათვის! ახლა კი ჩვენმა ჟურნალმა იკისრა ეს საქმე და სცდილობს იხსნას ქართველობა ამ უბედურებისაგან. თუ რამდენათ შევძლებთ ამ საქმის გაკეთებას, ამას დრო გვაჩვენებს! ეხლა კი ნება მიბოძე გაგაცნო პირველი ნაბიჯი ჩვენი ჟურნალისა—ანკეტა ჩვენ მოღვაწეთა და ხელოვანთა შორის. კითხვა ასეთი იყო დასმული: „რა საშუალებით შეიძლება ასცდეს ჩვენს საქართველოს სიმშილობა?“

მივიღეთ პასუხები.

პ. გოთუა.

(რუსულათ მოგვწერა, მაგრამ ჩვენ ქართულად ვთარგმნეთ, რათა ყოველი ქართველისათვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა მისი ოქროდ ღირებული სიტყვები). თქვენ გსურთ გაიგოთ ჩემი „მნენია“ (თარჯიმანი ცოტა შეზარხოშებული გამოგვადგა და ამ სიტყვის გადათარგმნა ვეღარ მოახერხა) თუ რა საშვალებით შეიძლება ავიცდინოთ ჩვენ, ქართველებმა თავიდან სურსათ-სანოვაგის კრიზისი? აი ჩემი პასუხი: ვიდრე ჩვენი საყვარელი დედა ქალაქი თბილისი (რომელიც ქართველებს ეკუთვნის, ქართველებსა! გაიგეთ თუ არა!) ხელში

ექნებათ ჩავარდნილი მილოვ—ადელხანოვ—ოსიპიანც—ჩაჩიკიანც და სხვა და სხვა მის მაგვართ, საქართველოში არ იქნება უზრუნველყოფილი სურსათ სანოვაგით. მაშ, განვანთავისუფლოთ ჩვენი თბილისი მათგან და მაშინ... (საუბედუროთ შემდეგი სიტყვების თარგმნის დროს თარჯიმანი გარდაიცვალა. იგი სიტყვებით დათვრა და მეტის მეტი ნაციონალური გრძნობით თავი გაუსქდა.

თ. ღლონტი.

ინტერნაციონალიზმი და ცენტრალიზაცია კონფისკაციის კამპანიისა და კუჭის ორგანიზმი ეროვნების შემოღებისა საქართველოში, მავალებს გარკვეულად ჩავაკონტრ-იერიშო ყოველი ჩემი გრძნობანი და მიმართულებანი კოლონიზაციასა და ფედერალიზაციას შორის. (შემდეგი იქნება)

ი. იმედაშვილი.

თუ რა გაჭირვების ტალ-კვესს განიცდის ჩვენი ხალხის ტაძარი და რითი შეიძლება თავიდან ავიცდინოთ ეს გაოგნება, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შეგიძლიანთ ამოიკითხოთ ჩემს ,,მოლვაწეთა ლექსიკონში'', მხოლოდ არ შემიძლიან აქ არ გამოვსთქვა ჩემი შიში, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ქურუმნმა ჩვენი სახიობისა.

ეშმაკი.

საქართველოს მაშინ ასცდება სურსათ-სანოვაგის კრიზისი და სხვა უბედურებანი, როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საქველმოქმედო საზოგადოება ყელამდინ აივსებიან ჩემი მათ შესახებ დაწერილ ფელეტონებით.

ა. ხატისოვი.

მე ვიზიარებ თქვენს მზრუნველობას ქართველებისადმი, რადგან ჩემი დევიზია: ,,დაეხმარე ყველას, განურჩევლად წოდებისა, მიმართულებისა და ტომისა''. და ამიტომ წარმოვსთქვამ რამოდენი სიტყვას: ამ სამი წლის შემდეგ ნახევარ ვაგონ პურის ფქვილს შემოგწირავთ დამშეულთა შორის განსანაწილებლათ.

საანკენტო კომისიის თავმჯდომარე **გუგული.**

ღია წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულ პეტრე მირიანაშვილს.

დიდათ პატივცემულო ბ-ნო პეტრე!

როცა ქართული ენის შესახებ საქმე შემიფერხდება, მაშინვე თქვენ გამახსენდებით ხოლმე და თუმცა დღემდისაც არა ერთხელ მოგიგონეთ გასაჭირის დროს, მაგრამ როგორც ხედავთ შეწუხებით დღეს პირველათ გაწუხებთ.

მას შემდეგ, რაც „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში" გოგირდის საქმე ჩაიხლართა, პრესაში ხშირათ ვხდებოდი სახელს „უგანათლებულესი თავადი პეტრე გრუზინსკისას".

არ იფიქროთ გოგირდის საქმეზე მედიატორეთ გნიშნავდეთ, ან მსურდეს ამ ბნელ საქმეში ჩამარხული ძაღლის თავის ძებნა. არა, სრულიადაც არა.

მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო მხოლოდ სიტყვას:

„უგანათლებულესი".

გოგირდის ინციდენტის შემდეგ ჩავუკვირდი მე ამ სიტყვის აზრსა და ვფიქრობ, რომ ის არ უნდა გამოხატავდეს ჭეშმარიტ შინაარსს რუსული სიტყვის СВѢТЛѢЙШIЙ-სას.

მე არც ქართული მესმის რიგიანათ და რუსულს ვინ მომაქვავებდა, მაინც მაინც მგონია, რომ სიტყვა „უგანათლებულესი" წარმოსდგება „განათლებულისაგან" და ხომ შეიძლება СВѢТЛѢЙШIЙ თავადი სრულიადაც არ იყოს განათლებული, არა თუ უგანათლებულესი.

მართალია, სამწუხაროთ, ბევრნი არა გვყვანან „უგანათლებულესი" თავადნი, მაგრამ სასიამოვნო მაინც არ არის შეუფერებელი ზედშესრული სახელი მივაკუთვნოთ ვისმე. ამით შეიძლება ჩემისთანა გულუბრყვილო მკითხველი შეცდომაშიაც შევიყვანოთ.

მე მსურს თქვენი კომპენტენტური აზრი ვიცოდე მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა... გავკადნიერდები და კვლავ შეგაწუხებ, ისიც კი მინდოდა გამეგო, თუ რისთვის ჰქვია უგანათლებულეს პეტრეს „გრუზინსკი". ესეც ნათარგმნი გვარია, თუ ძველათ იყო საქართველოში ასეთი გვარი.

მე რასაკვირველია, ძლიერ მესიამოვნება, თუ თქვენ ჩემს წერილზე პასუხს „ეშმაკის მათრახის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში გამომიგზავნით, მაკრამ პასუხის ღირსიც რო არ გაგვხადოთ არც ის მეწყინება, თუ კი სადმე, თუნდაც გაზ. „საქართველოში“ გამოარკვევთ ამ საკითხს. ვინ იცის, იქნებ სხვა მკოდნე პირებმაც მიაქციონ ამ ჩემს მუდარას ყურადღება... მაშინ ხომ თავს ბედნიერათ ჩავთვლი.

მარადის თქვენი პატივისმცემელი

თენგიზ ფრიტაძე.

წერილი რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო!

განმეორებით ვსთხოვ ბ-ნ ისარს, თუ კი ის არ გაურბის სამედიატორო სასამართლოს, დაუყონებლივ დაასახელოს თავის მხრივ მედიატორები.

მასწ. ილიკო მ. ქუთათელაძე.

,,ეშმაკის მათრახის'' რედაქცია აცხადებს, რომ უკეთუ შემთხვევითი კორესპონდენტი, როგორიც იყო ბ-ნი **ისარი** და აგრეთვე **ბუკნარელი კოსანდილე,** თავის გასამართლებელ საბუთს არ წარმოადგენს: პირველი სამედიატორო სამსჯავროში, ხოლო მეორე ჩვენს რედაქციაში, რედაქცია იძულებული იქნება გამოაქვეყნოს მათი ნამდვილი სახელი და გვარი შესაფერი განმარტებით.



„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ **უსახელო ავტორებისა** და **უცნობ პირთა** წერილები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ვინაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქციისათვის სანდო პირი.

სარედაქციო წერილი უნდა დაიწეროს ქაღალდის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქციო წერილი რედაქციაში მოსულამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე აღრესის შემდეგ დაეწეროს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქცია არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

მაკრინეს ნათლიას. თქვენი ლექსი: „**შოთასებური**“.

„ბუდი ხეს შეეფეო
სასხლის ძვრისგან გადასდგესო“.

მართლაც ჩამოჰგავს შოთას ნაწერს, რამეთუ ორი განაწერა ერთად 16 მარცვალს შეადგენს.

ბედნიერია თქვენი ნათლული მაკრინე... არა იმიტომ, რომ ,,შოთასებური'' ნათლია ჰყავს, არამედ იმიტომ, რომ რამდენათაც ვიცით, ნათლიასგან მონათლულზე არავითარი მემკვიდრეობითი ნაკლი არ გადადის.

სამსონ სუჯუნის პირელს.

,,ზდვაო, ზდვაო! რას დედაბ
ან კშარა რაც რომ შენ დადუმე?
კადმოაბრუნე ბემი და
შორს, შორს იქით კადადუმე!!
მაგრამ ბოდომდის ვერ კასტან
და ვერ იმდერებ ჩვენითა
ჩვენტ ამოკაშრობა, შეგსვანო და
ამას შეგიძვებთ ,,დმერთითა''.

ღმერთით რასაკვირველია ყველაფერი შეიძლება, მაგრამ თუ ზღვის შესმა გადაგიწყვეტიათ, უფრთხილდით მინც ნაღმი, წყალ-ქვეშა ნავი ან დრედნოუტი არ ჩაყოლოთ.

ბ. ყვინჩილას. ,,ქურდი მთხლეზე დაიპირესო'' რომ იტყვიან სწორედ თქვენ მოგვიდათ. თქვენი ლექსი ,,კაცო''.

,,კაცო, იდდე ნაკვერჩხალი ხარ
ტეტხლებრ უსვენი
ბურუსს მოუცავს მომავალი,
ნარსული შენი''.

მოპარულია ახალ-გაზდა მგოსნის გრიგოლ ამაღლობელის ლექსიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამხ. ცენზურ. სტამბა ამხ. „შრომა" რედაქტორ-გამომც. თეოფილე ბოლქვაძე.